ქართული ენის გრამატიკა

I კლასი

დამხმარე
სახელმძღვანელო

გულნარა ჟღენტი
დემირა ელიაშვილი

ავტორებისაგან

ენას თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა. ენა, მიწა-წყალთან და სარწმუნოებასთან ერთად, დედაბოძია ეროვნებისა. იცავდე შენი ენის სიწმინდეს, ეს ნიშნავს, იცავდე ვინაობას, შენს მეობას, ღირსებას, შენი ერის კულტურასა და ისტორიას. სწორედ ასე უფრთხილდებოდა და ელოლიავებოდა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, აკაკი შანიძე, ქართულ ენას. ბავშვმა სწორედაც დაწყებითი კლასიდანვე უნდა ისწავლოს მართლწერა და მართლმეტყველება, რა თქმა უნდა, მარტივი ენით, ტერმინოლოგიის გარეშე. სწორედ ამიტომაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ვალდებულნი ვართ თავიდანვე ვასწავლოთ ბავშვებს ქართული ენის გრამატიკის ნორმები და თანდათან განვავრცოთ იგი ასაკის შესაბამისად.

სწორედ ეს იყო მიზანი ამ პატარა ბროშურის შექმნისა, რათა დავიცვათ და გადავარჩინოთ ჩვენი ენა, ჩვენი საუნჯე. ვასწავლოთ ჩვენს პატარებს სწორად წერა და მეტყველება და გვახსოვდეს ყოველთვის ეს ჭეშმარიტება:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია! ბედისწერაა!
ზღვა როა! იმოდენაა!”

თანამედროვე ქართულ ენაში გვაქვს

ხუთი ხმოვანი

1

2



სიტყვაში რამდენი ხმოვანიც არის იმდენმარცვლიანია სიტყვა

სიტყვაში ი ა, არის ორი ხმოვანი ი - ხმოვანი და ა - ხმოვანი,
ამიტომ სიტყვა ი ა ორმარცვლიანია.

სიტყვაში თა-თი, არის ორი ხმოვანი: ა - ხმოვანი და ი - ხმოვანი,
ამიტომ სიტყვა თა-თი ორმარცვლიანია.

სიტყვაში თი-თი, არის ორი ხმოვანი: ი - ხმოვანი და კიდევ ი - ხმოვანი,
ამიტომ სიტყვა თი-თი ორმარცვლიანია.

სიტყვაში თი-თა, არის ორი ხმოვანი: ი - ხმოვანი და ა - ხმოვანი,
ამიტომ სიტყვა თი-თა ორმარცვლიანია.

4

ოთ-ხი - ამ სიტყვაში არის ორი ხმოვანი.
ო და ი ხმოვნები. (ორმარცვლიანია)

სა-ა-თი - ამ სიტყვაში არის სამი ხმოვანი.
ა, ა და ი ხმოვნები. (სამმარცვლიანია)

ხე -ამ სიტყვაში არის ერთი ხმოვანი.
ე ხმოვანი. (ერთმარცვლიანია)

თხა - ამ სიტყვაში არის ერთი ხმოვანი.
ა ხმოვანი. (ერთმარცვლიანია)

თანამედროვე ქართულში გვაქვს 33 ასო-ბგერა

რატომ ჰქვია ასო-ბგერა?

ასოს ვწრთ და ვხედავთ, ბგერას ვამბობთ და გვესმის.

როგორც ვიცით ქართულში გვაქვს ხუთი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ,
დანარჩენი ოცდარვა ასო-ბგერა თანხმოვანია.

ასო-ბგერებისაგან იქმნება მარცვალი.

ასო-ბგერა - თ, ასო-ბგერა -ო, მარცვალი თო.
ასო-ბგერა - ხ, ასო-ბგერა -ი, მარცვალი ხი.
თუ ამ მარცვლებს შევაერთებთ, მივიღებთ სიტყვას - თოხი.

ასო-ბგერა - მ, ასო-ბგერა -უ, მარცვალი მუ.
ასო-ბგერა - ხ, ასო-ბგერა -ა, მარცვალი ხა.
თუ ამ მარცვლებს შევაერთებთ, მივიღებთ სიტყვას - მუხა.

რამდენი ხმოვანი და რამდენი თანხმოვანია სიტყვაში?

არწივი

მტრედი

ჭიამაია

კურდღელი

ფუტკარი

ყველა ასო-ბგერას თავისი საკუთარი სახელი აქვს

ა - ან
ბ - ბან
გ - გან
დ - დონ
ე - ენ
ვ - ვინ
ზ - ზენ
თ - თან
ი - ინ
კ - კან
ლ- ლას
მ - მან
ნ - ნარ
ო - ონ
პ - პარ
ჟ - ჟან
რ - რაე
ს - სან
ტ - ტარ
უ - უნ
ფ - ფარ
ქ - ქან
ღ - ღან
ყ - ყარ
შ - შინ
ჩ - ჩინ
ც - ცან
ძ - ძილ
წ - წილ
ჭ - ჭარ
ხ - ხან
ჯ - ჯან
ჰ - ჰაე

ჟირაფი ჟოზესთან ერთად სიმღერით ვისწავლოთ ქართული ანბანი:

_ რატომ ჰქვია ანბანი?

_ პირველ ასო-ბგერას ჰქვია ან, მეორე ასო-ბგერას ჰქვია ბან და ამიტომაც შეარქვეს ანბანი

https://drive.google.com/file/d/1gy4Tlag72ZRtM-blhslrXYnApcRDuCCP/view

კატა

ჩიტი

ფანქარი

კაბა

ქალი

თაგვი

ბურთი

საათი

ტელეფონი

კაცი

მოსწავლე

ჩანთა

წიგნი

ხე

ეს ყველაფერი არის საგანი, რადგან შეგვიძლია მათი დანახვა, შეხება.

საგნებს დაესმის კითხვები:
ვინ? რა?

ვინ ?

ქალი

კაცი

ვინ კითხვა დაესმის
მხოლოდ ადამიანს

რა ?

კატა

ჩანთ
ა

ხე

ია

თაგვი

კაბ
ა

გემი

ჩიტი

რა კითხვა დაესმის ადამიანის გარდა ყველაფერს,
სულიერსაც და უსულოსაც

ელ. ტესტი: https://learningapps.org/display?v=pkp6njj7n19

საგანი არის სულიერი და უსულო

სულიერი

კატა

ჩიტი

თაგვი

ქალი



ხარი

კაცი

უსულო

კაბ
ა

საათი

ხე

გემი

ტელეფონი

მანქან
ა

ჩანთ
ა

ია

ელექტრონული ტესტი: https://learningapps.org/display?v=p6t8rttqn19

როგორია?

ბურთი
როგორია?

წითელი

დიდი

პატარა

მრგვალი

ხე
როგორია?

მწვანე

ლამაზი

დიდი

პატარა

მერცხალი
როგორია?

მოჭიკჭიკე

ლამაზი

ვარდი
როგორია?

წითელი

ლამაზი

სურნელოვანი

დაესმის კითხვა - როგორი?
მიგვანიშნებს საგნის ნიშან-თვისებაზე

რა როგორია?

სპილო

ზებრა

ლომი

ბურთი

თოვლი

მრგვალია

დიდია

თეთრია

საშიშია

ზოლებიანია

ერთი და ბევრი

ბურთი

ბურთები

წიგნი



წიგნები

მერხი

მერხები

რას აკეთებს?

ძაღლი → ყეფს

კატა → კნავის



ცხენი → ჭიხვინებს



გველი → სისინებს

ვინ სად მიდის?

მოსწავლე მიდის →	სკოლაში
მამა მიდის →	სამსახურში
ბებია მიდის →	ბაზარში
მებაღე მიდის →	ბაღში
ფეხბურთელი მიდის →	სტადიონზე
მეზღვაური მიდის →	ზღვაში

დაესმის კითხვა სად?
მიანიშნებს ადგილს

სიტყვებისაგან შედგება წინადადება

წინადადება შეიძლება იყოს ერთსიტყვიანი, ორსიტყვიანი, სამსიტყვიანი და ასე შემდეგ.

ერთსიტყვიანი წინადადებები: წვიმს. თოვს. გათენდა. დაღამდა.

ორთსიტყვიანი წინადადებები: მზე ამოვიდა. თოვლი მოვიდა. გუშინ წვიმდა.

სამსიტყვიანი წინადადებები: ლიზი სკოლაში წავიდა. მოსწავლე გაკვეთილს სწავლობს.

ნიკოლოზი ეზოში ბურთს თამაშობს. ეს წინადადება ოთხსიტყვიანია და მოგვითხრობს ნიკოლოზის თამაშზე.
წინადადება, რომელიც რაიმეს მოგვითხრობს თხრობითია.
თხრობითი წინადადების ბოლოს იწერება წერტილი.

რას აკეთებს ნიკოლოზი? თუ ჩვენ კითხვას ვსვამთ, ასეთი წინადადება კითხვითია და კითხვითი წინადადების ბოლოს იწერება კითხვითი ნიშანი (?).

როცა რაღაც გვიხარია და აღტაცებას გამოვხატავთ, მაგალითად, თოვლი მოვიდა! ასეთი წინადადების ბოლოს იწერება ძახილის ნიშანი (!).

სიტყვებისაგან შევადგინოთ წინადადება

ფიფქია პატარა შევიდა სახლში ერთ → ფიფქია ერთ პატარა სახლში შევიდა.

წინადადების ბოლოს დაისმის წერტილი.

წერტილი თხრობითი წინადადების ბოლოს დაისმის .

სად შევიდა ფიფქიას?

წინადადების ბოლოს დაისმის კითხვითი ნიშანი.

კითხვითი ნიშანი დაისმის კითხვითი წინადადების ბოლოს.

რა ლამაზი სახლია! (გამოხატავს ემოციას)

წინადადების ბოლოს დაისმის ძახილის ნიშანი.

ძახილის ნიშანი დაისმის ძასხილის წინადადების ბოლოს.

ტესტი

1. რამდენი ასო-ბგერა არის თანამედროვე ქართულში?
   ა) ოცდარვა;
   ბ) ხუთი;
   გ) ოცდაცამეტი;
2. რამდენი ხმოვანი არის თანამედროვე ქართულში?
   ა) ხუთი;
   ბ) ოთხი;
   გ) სამი
3. ასო-ბგერებისაგან რა შედგება?
   ა) წინადადება;
   ბ) მარცვალი;
   გ) სიტყვა
4. მარცვლებისაგან რა შედგება?
   ა) ბგერები;
   ბ) წინადადება;
   გ) სიტყვა
5. სიტყვებისაგან რა შედგება?
   ა) წინადადება;
   ბ) მარცვალი;
   გ) ასო-ბგერები

ვის როგორ მივმართავთ?

თქვენ - უფროსებს.
შენ _ თანატოლებს.

სად მიბრძანდებით? - უფროსებს.
სად მიდიხარ? - თანატოლებს.

როგორ ბრძანდებით? - უფროსებს.
როგორ ხარ? - თანატოლებს.

ვინ ბრძანდებით? - უფროსებს.
ვინ ხარ? - თანატოლებს

წამობრძანდით - უფროსებს.
წამოდი - თანატოლებს.

დაბრძანდით - უფროსებს.
დაჯექი - თანატოლებს.